

პროფესიონალი

№73

PROFESSIONAL


L.T.D. "MTM"

Email: ltmtm@gmail.com

Leselidze st. L2. N2 Terjola, Georgia
Agmaschenebeli AVE N81. Kutaisi, Georgia

Office: +995 0 790 702 302; +995 (0) 431 25 13 25
Mobile: +995 599 58 77 48

Director
MEVLUD GETSADZE



ბიზნესბიულეტენი

GM hotel
www.gmhotel.ge

მოსამართლის პროცესის დასრულება ჩვენი სახელმწიფოებრივი პრიორიტეტია

შპს „ლადა“

შპს „მეგობრონი“

პროექტი

საქართველოს მთავრობის განცხადება

ქალაქისთვის ბავრი ავთონი საქმის განაღდება მოუახერხებ...

პროექტი

საინჟინერო-კონსტრუქციო კომპანია

www.prof-news.com

მთ.რედაქტორი:
ელა ლუღავი
სარედაქციო ყოლეგია

მისამართი:
თბილისი, ვ. ივანოვსკის №6
ტელ.: 299-82-60

E-mail: profesionali@mail.ru 30.05.15.-30.06.15 ფასი 2 ლარი

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა



პარლამენტის პლენარული სხდომა



პარლამენტს, მიმდინარე კვირის განმავლობაში, რომელიც 2015 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლო სამუშაო კვირას წარმოადგენს, პლენარულ სხდომებზე საკმაოდ დატვირთული დღის წესრიგით მოუწვევს მუშაობა. ამის შესახებ პლენარული სხდომის გახსნისას პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა განაცხადა.

სიტყვით გამოსული პარლამენტის ყველა წევრი გამოეხმაურა თბილისში, 13 ივნისს დატრიალებულ ტრაგედიას და ამ დღეებში დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიძრა. პარლამენტის ცალკეული წევრების მიერ გამოთქმულ სამძიმარს სრულიად პარლამენტი შეუერთდა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, სერგო რატიანის განცხადებით, ამ მასშტაბის სტიქიური უბედურება ნებისმიერი ქვეყნი-

უდიდესი ზიანი ნახეს სტიქიის შედეგად, რომელიც ორიოდე კვირის წინ მოხდა გორის რაიონში", - განაცხადა სოსო ვახტანგაშვილმა.

პარლამენტის წევრთა განცხადებების დასრულების შემდეგ, პარლამენტმა საკანონმდებლო საქმიანობა გააგრძელა.

საბოლოო, მესამე მოსმენით განიხილეს კანონპროექტთა პაკეტი, რომელშიც სამი კანონპროექტია გაერთიანებული: „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე; „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული კანონპროექტები პარლამენტის წევრის, ვია ჟორჯოლიანის საკანონმდებლო ინიციატივას წარმოადგენს.

სამი კანონპროექტი წარადგინა განსახილველად განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრი-



სათვის უდიდესი გამოწვევაა, განსაკუთრებით მძიმე გამოწვევაა მთავრობისთვის. მსგავსი მოვლენებისადმი გამკლავება მხოლოდ ერთობით, თანადგომითაა შესაძლებელი. „მსურს მაღლობა გადავუხადო მოქალაქეებს, საჯარო მოხელეებს, მათ, ვინც ამ დღეებში სიცოცხლის რისკის ფასად თანამოქალაქეებს დაეხმარა. ჩვენ საზოგადოებამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, საოცარი სოლიდარობის მაგალითი გვიჩვენა, ბევრი რამის გადაფასების აუცილებლობა დაგვანახა“, - განაცხადა სერგო რატიანმა, ხოლო მთავრობის მოუწოდა, მოახდინოს ძალების სრული კონცენტრაცია და იგი სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებაზე წარმართოს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის ომარ ნიშნიანიძის განცხადებით, „მისასალმებელია, რომ ხელისუფლება ამ უმძიმეს წუთებში შესაძლებლობის ზღვარზე მოქმედებდა და მისი ძალისხმევა ემსახურებოდა შედეგს და არა პიარ-კამპანიას.“ მისივე შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარმა პოლიტიკურმა ინტერესებმა ისე დააბრმავა, რომ ვერ გრძნობენ სასიკეთო ძვრებს; „მიუხედავად დიდი ტრაგიზმიისა, უნდა მივხედოთ იმ ფაქტს, რომ ჩვენს თვალწინ შედგა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც არავის აპატიებს ე.წ. „მკვლელებს“, ე.წ. ნაციონალური შავ-ბნელი პროექტების განხორციელებას, რომლის მსგავსშიც ჩვენ ამჟამად ვსხედვართ აქ“, - განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, გორის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა სოსო ვახტანგაშვილმა კონფლიქტის ზონაში, გამყოფ ზაზთან არსებული, სტიქიის შედეგად დაზარალებული სოფლების მოსახლეობის გასაჭირზე ისაუბრა. დეპუტატის თქმით, მართალია, საქართველოს უზარმაზარი ზარალი მიადგა, რომელიც 100 მილიონ ლარზე მეტია, მაგრამ ამის მიუხედავად გორის რაიონში ამ ათი დღის წინ დატრიალებული სტიქიური უბედურება არ უნდა დავივიწყოთ. „მიუხედავად იმისა, რომ ვაცნობიერებ იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებას ცდილობს აღმოფხვრას პრობლემები, რომელიც შეიქმნა ვერეს ადიდების შედეგად, მინდა ვუთხრა ხელისუფლებას - ეგებ რამენაირად გამოინახოს სახსრები იმისათვის, რომ აღმოუჩინონ დახმარება გორის რაიონში მცხოვრებლებს, ფერმერებს და გლეხებს, რომლებმაც

აშვილმა: „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (ერთი მოსმენით), „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლებიც მუხლობრივად - მეორე მოსმენით განიხილეს.

პარლამენტმა II მოსმენით განიხილა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივა - „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც კოლეგებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გვედვან ფოფხაძემ წარუდგინა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამ ცვლილებების მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახალი ინსტიტუტი - სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი მკვიდრდება. ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის მხარე, ან მესამე პირი განსახილველ საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება წარუდგინოს. კანონპროექტით, აგრეთვე, განისაზღვრება სასამართლოს მეგობრის წერილობით მოსაზრების სასამართლოს მიერ გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები. კანონპროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

პარლამენტმა ასევე II მოსმენით განიხილა კანონპროექტი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც პარლამენტის წევრ ზურაბ ტყემალაძის საკანონმდებლო ინიციატივას წარმოადგენს. ამ კანონპროექტის მიხედვით, მშენებარე ობიექტებზე, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობითაა გაცემული, და ამ ნორმის ამოქმედების დროისათვის გაცემულია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით მიღებული სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადაამხდლები სრულიად თავისუფლდებიან მოსაკრებლის

გადახდისაგან იმ პირობით, თუ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოხდება 2018 წლის 1 იანვრამდე.

კანონმდებლებმა II მოსმენით განიხილეს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი, რომელიც მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივას წარმოადგენს და რომელიც გარიგების (ოპერაციის) შეჩერების თაობაზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითებათა გაცემის და შესრულების წესი განისაზღვრება. აღნიშნული კანონპროექტიდან გამომდინარე, ცვლილებები შედის ასევე სისხლის სამართლის კოდექსში.

ცვლილებები შედის „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ კანონში, რომელიც პარლამენტმა I მოსმენით განიხილა. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ივანე კილურაძემ ისაუბრა და პარლამენტის წევრებს კანონპროექტის ზოგადი პრინციპები გააცნო. წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი უნდა ჰქონდეს. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ახლებურად განისაზღვრება სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე არჩევის წესი. ხოლო დაწესებულების სახელმწიფო კონტროლს განახორციელებს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდამავალი დებულება დაწესებულების მოქმედი დირექტორების უფლებამოსილების ამოწურვის საკითხთან დაკავშირებით გარკვეულ ნორმებს ითვალისწინებს.

პარლამენტმა ასევე I მოსმენით განიხილა კანონპროექტი „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც პარლამენტის წევრმა ნოდარ ებანიძემ წარადგინა. პარლამენტის წევრების თამაზ მეჭიაურის და ნოდარ ებანიძის ინიციატივის მიხედვით, ახლებურად ყალიბდება სადაზღვევო პოლისის ცნება, ასევე, ცვლილების მიხედვით, სადაზღვევო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად დასაშვები ხდება მხოლოდ სააქციო საზოგადოება, ხოლო შპს-ს ფორმით დაფუძნებულმა სადაზღვევო ორგანიზაციებმა, კანონის გარდამავალი დებულების მიხედვით, კანონის მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილონ 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

კანონპროექტი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივას წარმოადგენს, ასევე I მოსმენით განიხილეს. ცვლილებების მიხედვით, პროფესიულ საიდუმლოებათა ჩამონათვალს ასევე ემატება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებისათვის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია. გარდა ამისა, ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს განცხადება, რომელიც აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები მათი კომისიების სხდომებზე და ამ ორგანოების წევრების მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით იქნება გაკეთებული.

ორი საკითხი წარადგინა პარლამენტის სხდომაზე განსახილველად ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ, ირაკლი ხმალაძემ: კანონპროექტი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ენ-

ერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“.

სხდომაზე განიხილეს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობის შემცირების შესახებ“, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მეჭიაურმა წარადგინა. ამ დადგენილების მიხედვით, საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობა ერთი მილიონი ლარით მცირდება.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, ესაა მიზანმიმართული შემცირება და თანხა მიმართული იქნება 13 ივნისის თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ.

სხდომაზე I მოსმენით, ზოგადი პრინციპების დონეზე განიხილეს კანონპროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც პარლამენტის წევრმა ვია ჟორჯოლიანმა წარადგინა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კანონპროექტის მიზანს პრაქტიკაში გამოვლენილი სირთულეებიდან გამომდინარე იმ ხარვეზების გამოსწორება წარმოადგენს, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქმიანობას აფერხებს და იწვევს ადამიანური რესურსების გაუმართლებელ ხარჯვას. ავტორები მიიჩნევენ, რომ ცვლილებების შედეგად, გაიზარდება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის ეფექტიანობა, დაჩქარდება ყველა ის პროცესი, რომელიც არსებითი და მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მერიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. მკაფიოდ გაიმიჯნება სხვა დანარჩენი მუნიციპალიტეტებისაგან თბილისის, როგორც დედაქალაქის განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა და დამკვიდრდება ის რეგულაციები, რომლებიც თბილისის მუნიციპალიტეტს განასხვავებენ სხვა თვითმმართველობებისაგან და



რომელიც რეალურად გამომდინარეობს თბილისის მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი საკითხების სიუხვიდან, მასშტაბებიდან და მნიშვნელობიდან.

სხდომის დასასრულს, I მოსმენით განიხილეს „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი, პარლამენტის წევრის სერგო რატიანის ინიციატივით. წარმოდგენილი კანონპროექტი, მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება სსიპ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში. ხოლო ქონების გადასახადი სსიპ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განისაზღვრება დასაბეგრი ქონების არაუმეტეს 0.1%-ის ოდენობით. როგორც განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ივანე კილურაძემ განაცხადა, კომიტეტი მზარს არ უჭერს წარმოდგენილ ინიციატივას.



აკამათო არაა, რომ საქართველოს ეკონომიკა რეგიონალური და გლობალური გამოწვევების მიმართ ძალიან მგრძობიარეა. უკანასკნელ პერიოდში, სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ექსპორტის შემცირებამ, რასაც ტურისტული შემოდინებების კლება დაერთო, ერთი მხრივ, შემოსავლები შეამცირა, ხოლო მეორე მხრივ, ლარის გაცვლით კურსზე მნიშვნელოვანი ზეწოლა მოახდინა. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა გარკვეულწილად შენედა. სწორედ ამიტომ, სიტუაციის სასწრაფოდ გამოსასწორებლად, საქართველოს მთავრობამ გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგია შეიმუშავა, რომელშიც განვითარების მთავარი მიმართულებები ნათლად არის გამოკვეთილი. გონივრული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარებამ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის აქტიურობის ზრდას და უკანასკნელ ხანს წარმოჩენილი შოკების დაძლევას. ასეთ დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცენტრიდან რეგიონებზე გადანაწილებულ პასუხისმგე-



რამი მიხანია სოფლების გამოცოცხლება

ბლობას, რაც ქვეყნის სამომავლო განვითარების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. დეცენტრალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ძლიერი მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი ხელმძღვანელობა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის ძირითადი გარანტი უნდა გახდეს. რეგიონების ინფრასტრუქტურული და სოციალურ-კულტურული განვითარება სწორედ პერიფერიებზეა დამოკიდებული. ოზურგეთი რაიონში განსაკუთრებული სამრეწველო პოტენციალით არ გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, მუნიციპალური განვითარების სტრატეგია ძირითადად ტურისტულ მიმართულებებზე და სოფლის მეურნეობის სექტორზე - როგორც მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის მომტან ძირითად სფეროზეა კონცენტრირებული. სწორედ აგრო-ბიზნესის და ტურიზმის ინფრასტრუქტურა განაპირობებს ადგილობრივი მცირე საწარმოების განვითარებას და დასაქმების ღონის ამალმებას. როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში ზოგადი სურათი უკეთესობისკენ შეიცვლება, რაც მთავრობის მიერ წამოწყებული რეგიონალური რეფორმების პროექტებზე და ადგილობრივი ხელისუფლების უნარიან მოქმედებაზეა დამოკიდებული. მიმდინარე საკითხების განსახილველად, ჩვენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **მერაბ ჯანაყაძის** კვსტუმრეთ.



მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **მერაბ ჯანაყაძის** კვსტუმრეთ.

– ბატონო მერაბ, რა ცვლილებები განახორციელეთ რაიონში თქვენი დანიშნვის დღიდან?

– როდესაც გამგებლის თანამდებობა დავიკავე, მუნიციპალიტეტის მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ იყო. დასამთავრებელი იყო მიმდინარე პროექტები, მისახედი გახლდათ ზოგადი დისციპლინა, დასარეგულირებელი – ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმებული სუბსიდირების საკითხები და ადგილობრივი საბიუჯეტო დეფიციტი. ჩვენი გუნდი მაქსიმალურად ეცადა სიტუაციის მოწესრიგებას. დღეს შედეგი სახეზეა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია საქართველოში.

– პროექტები რა მიმართულებით ხორციელდება?

– მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას ინფრასტრუქტურული

პროექტების განხორციელება წარმოადგენს, ამიტომ 2015 წლის ბიუჯეტის პირობებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია, ძირითადად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას მოიცავს. შარშან დაწვებულ სამუშაოებს, წელს 12 ახალი პროექტი დაემატა, რომელიც კონკრეტულ თემებზეა ორიენტირებული. მთავარ პრიორიტეტებში მოხვდა საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა და მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესება. რაიონში 34 საბავშვო ბაღია. 2012 წლიდან დღემდე კაპიტალური რემონტი 12 მათგანს ჩაუტარდა. 2015 წლის ბოლომდე ჭანიეთის, ცხემლისხიდის, ბახვის თემში დამატებით 3 ასეთი ახალი დაწესებულება აშენდება და გადაწყვეტილია, რომ ყველა მათგანი იქნება აბსოლუტურად ადაპტირებული, ულტრათანამედროვე, ხანძარსაწინააღმდეგო ქსელით და ცენტრალური გათბობის სისტემებით აღჭურვილი. გარდა ამისა, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით მიმდინარეობს მერია-ლაითურის ხიდის და ოზურგეთი-შემოქმედი-გომისმთის გზის მშენებლობა, სოფელ სილაურში დამწვარი ადმინისტრაციული შენობის და დგაბზუ-ცხემლისხიდი-გაკიჯვრის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია. მალე დასრულდება სილაურის ადმინისტრაციული შენობისა და მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის რემონტი, რომელიც უსახლკაროთა განთავსებისთვის არის განკუთვნილი. წვერმაღალის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა. გარდა ამისა, გრძელდება სოფელ ოზურგეთი-მელექერდური-დგაბზუს საავტომობილო და მერია-კონჭკათის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც 3,2 კმ სიგრძის გზის მოასფალტებას და 1.5 კმ სიგრძის გზის მოხრეშვას ითვალისწინებს. პარალელურად, პროექტის ფარგლებში განხორციელდება ხელოვნური ნაგებობების, მილ-ხიდების, გაბიონის კედლების და გრუნტის კიუვეტების მოწყობა.

— საკმაოდ მასშტაბური მოცულობის საქმეს შეჭიდებიანარ...

— მოგეხსენებათ, ჩვენი მუნიციპალიტეტი 28

თემს აერთიანებს. ამიტომ, ვცდილობთ ყოველ მათგანს ყურადღება მივაქციოთ და ის კონკრეტული საკითხები მოვუგვაროთ, რომელიც წლებია მოსახლეობას აწუხებს. სწორედ ამ მიმართულებით, წელს სოფელ ასკანაში მოეწყო უახლესი, ევროსტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი წყალმომარაგების სისტემა. ასკანის წყლის საფილტრე-საქლორატორო სადგური უნიკალურია თავისი სტრუქტურით, სადა მაღალმთიანი სოფლის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემას მთლიანად მოხსნის და მოსახლეობას წყალი 24 საათიანი გრაფიკით მიეწოდება. მსგავსი სისტემის მშენებლობაა დაგეგმილი სოფელ ლაითურში და ჯუშათის ტერიტორიაზე. წარმატებები გვაქვს საინტარული და დასუფთავების კუთხით — შევიძინეთ ულტრათანამედროვე ტიპის დასუფთავების მანქანები და ნაგვის ბუნკერები, ხოლო სამომავლოდ, მთლიანი 18 კილომეტრიანი დასუფთავების სპეცტექნიკას ველოდებით, რომელიც ამ ტერიტორიებს თავიდან ბოლომდე დაასუფთავებს. გარდა ამისა, წარმატებით მიმდინარეობს თემების გაზიფიცირება, რომელიც წელს 6 სოფელში განხორციელდა და ვიმედოვნებ, 2017 წლის პირველ ნახევარში ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მთლიანად იქნება გაზიფიცირებული.

— ახლანაჲ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გურიაში ახალი, გრანდიოზული პროექტი დააანონსა...

— ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაა. ამ კუთ-



ხით კურორტების დაბა ურეკისა და გომისძეთის განვითარების ხელშეწყობა გადაწყდა. ახალი პროექტი, „ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე“, სწორედ ჩვენი საკურორტო ზონების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. მოგეხსენებათ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია თავისი უნიკალური ლანდშაფტით, სადაც ზღვასა და მთაში დასვენება ერთდროულად არის შესაძლებელი, ვინაიდან დაბა ურეკისა და გომისძეთის ერთმანეთისგან მხოლოდ 60 კილომეტრი აშორებს. ურეკი გამორჩეულია მაგნიტური ქვიშებით. ეს კურორტს საუკეთესო დასვენებისა და მკურნალობის თვისებებს ანიჭებს, ხოლო გომისძეთს მინერალური წყლები, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები გააჩნია, რომლებიც შესაძლებელია მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით იქნას გამოყენებული. გარდა ამისა, 15 ივნისიდან დაიწყო ურეკი-შეკვეთილის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის მოწყობა. პროექტის ღირებულება 63 მილიონ ლარს შეადგენს, საიდანაც 5 მილიონი ლარის ღირებულების მასალა და დანადგარები უკვე ადგილზეა მიტანილი. ტურისტული სეზონის დაწყებამდე დაიწყება წყალმომარაგების გარე ქსელის და სატუმბო დანადგარების მოწყობა, ხოლო სეზონის დასრულებისთანავე ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია დაბა ურეკისა და შეკვეთილის შიდა ტერიტორიების დაქსელვას დაიწყებს.

– სოციალური კუთხით რა წარმატებები გაქვთ?

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კიდევ ერთ პრიორიტეტს სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ინტენსიური მუშაობის შედეგად, მოხერხდა სტიქიის შემდეგ, სოფელ შემოქმედისა და ნატანების გზის ჩან-

გრეული მონაკვეთების სრულფასოვნად აღდგენა, სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცათ სამშენებლო მასალა და თუნუქის სახურავები. 2015 წელს მუნიციპალიტეტმა მიიღო 3 სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელმაც მომსახურების მხრივ სიტუაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ამავდროულად გრძელდება პროგრამული და სპეც-დაფინანსებები, როგორც ბიუჯეტის სახსრებით, ისე გამგებლის სარეზერვო ფონდიდან, ეფექტურად მოქმედებს ჯანდაცვის და დაზღვევის სისტემა, რისთვისაც, ბატონ დავით სერგაძის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო.

– სოფლის მეურნეობის მიმართულა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია რაიონში...

– ოზურგეთი, ნამდვილად სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტია და მთავარი პრიორიტეტებიც ამ კუთხით გვაქვს დასახული. რაიონში იგეგმება ჩაის კულტურის რეაბილიტაციისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სამელიორაციო სამუშაოების განხორციელება, მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა – რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას. მოხდება ხილსაცავების მოწყობა და სასათბურე მეურნეობების განვითარება. ამის ეფექტურად განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრს გადავეცით და 4 ჰექტარ მიწის ფართობზე სადემონსტრაციო ნაკვეთი, გადაშენებული ვაზის ჯიშების და სხვადასხვა ხილის სახეობების სანერგე მეურნეობა მოეწყო. მეცხოველეობის განვითარების კუთხით „კავკასიის ვენეტიკასთან“ გაფაფორმეთ მემორანდუმი და ძალიან მალე კონკრეტულ თანამშრომლობას დავიწყებთ.

– როგორც ცნობილია, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა რეგიონში ახალი და წარმატებული პროექტი განახორციელა...

– მოხარული ვარ, რომ მსგავსი პროექტი მოეწყო. „კულტურის დღეების“ ფარგლებში, ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით კონცერტები მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართა. მოეწყო გურიის ტურისტული პოტენციალის ამსახველი ფოტოგამოფენები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. მაყურებლის წინაშე დატვირთული პროგრამით წარსდგა მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობა. სოფლებში არსებული პრობლემებისა და მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, სასიამოვნოა, რომ ადგილობრივი ანსამბლები არ-

სებობას არ წყვეტენ და არასათანადო პირობებშიც კი აგრძელებენ მუშაობას. ჩვენი მიზანია სოფლების გამოცოცხლება, ადგილობრივი მოსახლეობის წახალისება და კულტურის თუ სპორტის დარგების განვითარება. მაქსიმალურად ვცდილობთ არ მოვერიდოთ ხალხის პრობლემების მოსმენას, ახლოს ვიყოთ თითოეულ მათგანთან და განვავარძლოთ მჭიდრო ურთიერთობა, რათა ეფექტურად ვიმუშაოთ ჩვენი რაიონის და მთლიანად ქვეყნის წარმატებისთვის.



შპს „მარიამ ო.ბ. 2006“

შპს „მარიამ ო.ბ. 2006“, რომელსაც ბატონი **ოთარ ბერიძე** ხელმძღვანელობს, ლიხის განვითარებაში ჰირნეთლად ასრულებს მასზე დახისრებულ მოვალეობას.



ქოგვანიის საქმიანობის სფაროში შადის წყალგაყვანილოობის საგვანებლო-სარემონტო და სარეაბილიტაციო საგვანობი.

2015 წელს, შპს „მარიამ ო.ბ. 2006“-მა, რომელშიც 30 ადამიანია დასაყვანული, ააბილტურად შაანათა ტხილნარის სათავე ნაგებობა, შაცვალა მილუბი და აღნიშნული ობიექტის სრული რეაბილიტაცია განახორციელა.



აქართველოს მთავრობა მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობს, ყველაფერი იღონოს ქვეყანაში მიმდინარე კრიზისის დასაძლევად და საცხოვრებელი თუ სამუშაო გარემოს გასაუმჯობესებლად. ეტაპობრივად, პირადად პრემიერ-მინისტრის კონტროლით მიმდინარეობს ზოგადი ურბანული განვითარება - წყალმომარაგების, გზების, ადგილობრივი სატრანსპორტო და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური წინსვლის სტიმულირებაში. როგორც კვლევები ადასტურებს, ქვეყნის განვითარების უპირატესობად რეგიონების სტრუქტურული ცოდნა და მათი რესურსების სწორი დიფერენცირება განიხილება. ცენტრს მოშორებული პატარა ქალაქების სპეციფიკის ეფექტიანი გამოყენება ადგილობრივ მაცხოვრებელთა ინტერესებს ემსახურება და რეგიონული განვითარების პოლი-




ქალაქისთვის ბევრი ახალი საქმის გახატებას მოვახერხებ...

ტიკის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს. ფაქტია, რომ მოსახლეობა განსაკუთრებით იმ პროექტებს მიესალმება, რომლებიც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზეა ორიენტირებული. სწორედ ამიტომ, გასულ წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კოდექსის მიხედვით, ქვეყნის რამდენიმე ქალაქს თვითმმართველი სტატუსი მიენიჭა, მოსახლეობის გადაწყვეტილებით, ოზურგეთის პირველი მერი ბატონი ბეგლარ სიორიძე განდა, რომელიც პირველ რიგში ძალიან კარგი მენეჯერია - ზედმიწევნით კარგად იცის თითოეული ოჯახის, მთლიანად ქალაქის პრობლემები და წარმოდგენილი აქვს განვითარების საერთო პერსპექტივები. კონკრეტული ნაბიჯები, ინოვაციები, განსხვავებული მიდგომები და გამართული მენეჯმენტი სწორედ ის თვისებებია, რომელთა გამოც მოსახლეობა ბატონ ბეგლარ სიორიძეს ემაღლიერება, ამიტომ ოზურგეთში ნანახი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ტემპი არ გაგვკვირვებია...

- ბატონო ბეგლარ, ქალაქში ინტენსიური სამუშაოებია გაჩაღებული...

- მინდა აღვნიშნო, რომ წელს, ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურულმა სამუშაოებმა განსაკუთრებით მასშტაბური ხას-

იათი მიიღო. ოზურგეთში აღნიშნული მიმართულებით რვა პროექტი ხორციელდება და მათი დასრულების შემდეგ ქალაქის პრობლემური კომუნიკაციები - სანიადვრე არხები, წყალგაყვანილობა და კანალიზაცია სრულიად განახლებული სისტემებით შეიცვლება. ამ ეტაპზე წყალშემკრები არხებისა და ცხაურების მოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს გურიისა და ერისთავის ქუჩების კვეთაზე, სანიადვრე არხების მშენებლობა წარმოებს აღმაშენებლისა და გურიის ქუჩებზე, ჯებირების და ნაპირსამაგრი სამუშაოები კეთდება მდინარე ბუჟუის ბაქრადის ქუჩის მონაკვეთზე. ახლახან, შეხვედრა გვექონდა გურამიშვილის ქუჩის მაცხოვრებლებთან და გადაწყდა, რომ კორპუსის ფასადი თუნუქის ფურცლით შეიფუთება, ორივე სადარბაზოს შესასვლელის გრძივი კედლის შელესვა, წყალგამტარი და წყალშემკრები მილების დაყენება უახლოეს დროში მოხდება, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოებს მერია სრულად დააფინანსებს. იგივე სახის სამუშაოები ჩატარდება ჭავჭავაძის ქუჩაზე, სადაც, ბოლო 40 წელია საკანალიზაციო სისტემა არ შეცვლილა. ქალაქის მასშტაბით, მთლიანად გამოიცვლება საცხოვრებელი კორპუსების სახ-



ურავები და ეს პროექტი წლის ბოლომდე დასრულდება.

— კიდევ რომელ ინფრასტრუქტურულ მიმართულებებზე მუშაობთ?

— გარდა მიმდინარე სამუშაოებისა, ამ მიმართულებით ოზურგეთში კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იგეგმება. ასფალტის ახალი საფარი დაიგება მეფლადის, თაყაიშვილის, ლალიონის, გოლიაძის, თაყაიშვილის მეორე ჩიხის, კლდიაშვილის და ჩანჩიბაძის ქუჩებზე, ხოლო

შორის სპორტული შეჯიბრებები გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი, გურიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი გახლდათ. მონაწილეები ერთმანეთს შაშში, ჭადრაკში, ნარდსა და მკლავციდში შეეჯიბრნენ და გამარჯვებულები სხვადასხვა პრიზებით და სიგელებით დაავაჯილდოვეთ.

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

— ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და რეგიონული განვითარების პროექტების ფონდის მხარდაჭერით, გაგრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები, განხორციელდება ქალაქში არსებული გზების რეაბილიტაცია, ტროტუარების და ბორდიურების მოწყოლა, ქუჩების ორმული შეკეთება. მოწვევრივდება გარე განათება. გარემონტდება ოზურგეთის ორი საბავშვო ბაღის შენობა. გარდა ამისა, მიმანია, რომ ინფრასტრუქტურული განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწიოს სპორტული თუ კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება იქნება. შესაბამისად, ქალაქის თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული თუ სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, სულ მალე, ოზურგეთში, რუსთაველის ქუჩაზე, ახალი სპორტული დარბაზი ამოქმედდება, ასევე დაგეგმილია საცურაო აუზის მშენებლობა. პარალელურად, ოზურგეთის უნიკალური თეატრის შენობას ფონდი „ქართუს“ მიერ გამოყოფილი დაფინანსებით ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია, რომელიც, დაახლოებით, 13-14 მილიონი დაჯდება. ასე რომ, საქმეები ნამდვილად არ გვაკლია, თუმცა სირთულეების არ მეშინია და დარწმუნებული ვარ, რომ სანამ ჩემი მერობის ვადა ამოიწურება, ქალაქისთვის ბევრი კეთილი საქმის გაკეთებას მოვახერხებ.

სხვაგან ორმული შეკეთების სამუშაოები ჩატარდება. აღსანიშნავია, რომ 9 აპრილის ქუჩაზე მიმდინარეობს ინტენსიური სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის მიხედვით სრულად შეიცვლება აღნიშნული ქუჩის არქიტექტურა და ქალაქს მალე განახლებული უბანი ექნება, რომლის მშენებებასაც გურიელების სასახლე და იქ განთავსებული გურიის ეპარქია წარმოადგენს. გარდა ამისა, მოწვევრივდება აგრარული ბაზარი, სადაც პროდუქტი სანიტარული ნორმების სრული დაცვით გაიყიდება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ოზურგეთის კინოთეატრის ისტორიულ შენობას, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ ქალაქ ოზურგეთს რამდენიმე თვის წინ გადმოსცა.

— როგორია თქვენი სოციალური პოლიტიკა? როგორც ვიცით თქვენს ქალაქში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა არსებობს.

— ჩვენი თანამოქალაქეების ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მერიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ასეთი საკითხების მოსაგვარებლად, ქალაქის ბიუჯეტში, 300 ათას ლარზე მეტია გათვალისწინებული. არსებული რესურსების ფარგლებში ვახორციელებთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ეს შეეხება მზრუნველობამოკლებულთა და სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა დახმარებას, ომის ვეტერანებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და ავღანეთის ომში დაღუპულთა ოჯახებს. გარდა ამისა, არსებობს მერიის სარეზერვო ფონდი, საიდანაც ასევე ვეხმარებით მოსახლეობას. მინდა აღვნიშნო, რომ ახლახან, ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა





მოსახლეობის პრობლემის გადაჭრა ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა



ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკა, მუდამ ეკონომიკური სტაბილურობის განუყოფელ ნაწილად განიხილება. კონკრეტული რაიონის სპეციფიკის ეფექტიანი გამოყენება არა რომელიმე ცალკეული სექტორის, არამედ საერთო ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს. დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ქვეყანა რეალურად დადგა ეკონომიკური არასტაბილურობის საფრთხის წინაშე, ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარება გახდა ის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რამაც მთავრობის მოსაზრებით, ახალი ეკონომიკური ბიძგებისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნა. დღეისათვის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა საქართველოში მაქსიმალურად გააქტიურებულია. მიმდინარე ეტაპზე ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ სწორედ ცალკეული დარგობრივი, მიზნობრივი პროექტების განხორციელებამ განაპირობა, ასეთ მოკლე პერიოდში, ეკონომიკური კლიმატის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დასტაბილურება. მთიანი აჭარა, კონკრეტულად კი ხელვაჩაურის რაიონი ყოველთვის ელოდა იმ ცვლილებებს, რასაც დღევანდელი მთავრობა ახორციელებს. მთიანი სოფლებისა და დაბების პრობლემატიკა მუდამ ცალკე მსჯელობის თემაა, რომელსაც სკურპულოზური განხილვა და სათუთი მიდგომა ესაჭიროება. ამის გაკეთება კი წარმოდგენილია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში იმ ადამიანების დაწინაურების გარეშე, რომელთაც ზუსტად იციან რეგიონის მოსახლეობის პრობლემები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ნადიმ პარშანიძე** საჯარო მოხელეთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც საკუთარი კუთხის და ქვეყნის სატკივარი მუდამ გათავისებული აქვთ და ყველაფერს აკეთებენ საქართველოს კეთილდღეობისთვის.



– ბატონო ნადიმ, რა პროექტები განახორციელეთ ბოლო პერიოდის განმავლობაში?

– ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში აქცენტები ინფრასტრუქტურულ მიმართულებებზე გვაქვს გაკეთებული. ამჟამად, აქტიურად მიმდინარეობს შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება. სოფლებში დაბეტონებულია 1000 კუბური მეტრი გზის ნაწილი, ხოლო მოასფალტებულია 34 კილომეტრიანი საფარი. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სასმელი წყლის პრობ-

ლემის მოგვარებას. მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდის თანახმად, სოფელ ახალშენში რეაბილიტაცია ჩატარდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობას, რომლისთვისაც 25 200 ლარი დაიხარჯება. წარმატებულად მიმდინარეობს სოფელ თხილნარსა და აგარაში წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია. ობიექტზე სამუშაოები 2014 წლის აგვისტოში დაიწყო, ივნისის ბოლოს დასრულდება და მაგისტრალის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ თხილნარის თემში სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება. მუნიციპალიტეტში განხორციელდა არხების გაწმენდითი და ნაპირსამაგრი სამუშაოები, მონტაჟდება გარე განათების სისტემა. გარდა ამისა, ძალიან მალე ხელვაჩაურში ახალი, თანამედროვე ტიპის, აგრარული ბაზარი დაიწყებს ფუნქციონირებას, სადაც პირველ ეტაპზე 100 დახლი დამონტაჟდება. ბაზრის გახსნის ინიციატივა პირადად მე შეკუთვნის და მისი მიზანია ადგილობრივმა



მოსახლეობამ დამატებითი შემოსავალი მიიღოს, ხოლო მყიდველმა, გადამყიდველის გარეშე, უშუალოდ გლეხისგან შეიძინოს საჭირო პროდუქტი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი გამგეობა, ფერმერთა ხელშეწყობის მიზნით, დიდი რაოდენობის პროდუქტის არსებობის შემთხვევაში, სოფლის ნობათის ტრანსპორტირებას საკუთარი ძალებით უზრუნველყოფს, ხოლო ახალ ბაზარში ფერმერები სავაჭრო ადგილებით უფასოდ ისარგებლებენ.

– რაც შეეხება სოციალურ საკითხებს?

– მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ჯანდაცვის სფეროში 11 სოციალური პროექტი ფინანსდება. მატერიალურად ვეხმარებით განსაკუთრებით შეჭირვებული კატეგორიის მოქალაქეებს, ავადმყოფებს, სტუდენტებს, სპორტსმენებს. ამასთან ერთად, ხელვაჩაურში აქტუალურია სკოლების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციის საკითხი. დღეისათვის, სოფელ აჭარისწყლის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღის მშენებლობის მეორე ეტაპი მიმდინარეობს. 2 სართულიანი კაპიტალური შენობა 120 ალსაზრდელზეა გათვლილი და მისი გახსნით ადგილობრივ მოსახლეობას სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემები მოეხსნება. პარალელურად, ბაღების მშენებლობა მიმდინარეობს სოფელ კირნათსა და ჩიქუნეთში, ტენდერია გამოცხადებული მახინჯაურის, ფერიის, ქედქედისა და ახალსოფლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობაზე. ამ დღეებში განვიხილეთ კაპრეშუმის საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტი. მშენებლობა გაისად დაიწყო და 2017 წელს დასრულდება. საგანმანათლებლო ორსართულიანი დაწესებულება თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვება და 200 მოსწავლეზე იქნება გათვლილი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 150 000 ლარამდე მოხმარდება სოფელ მწვანე კონცხის დაწესებითი სკოლის რეკონსტრუქცია-რესტავრაციას. გარდა ამისა, სექტემბრის ბოლოს ახალი სოციალური სახლის მშენებლობა დასრულდება. ამ ეტაპზე, პროექტის ფარგლებში ორთაბათუშში, სოფელ კაპრეშუმში 50 ბინიანი ორი 5 სართულიანი კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს. ეს 50 ბინა პირველი და მეორე ხარისხის ეკო-მიგრანტებს გადაეცემათ, თუმცა მათ ბინის გაყიდვის და იპოთეკით დატვირთვის უფლება არ მიენიჭებათ.

– სპორტის სფეროში რა სახელებია?

– ამ დღეებში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ბატონ არჩილ საბაძესთან ერთად, ხელვაჩაურში მდებარე სპორტ-კომპლექსი მოვინახულეთ. კომპლექსის მშენებლობა 2013 წლის მაისში დაიწყო. დამონტაჟდა გათბობის თანამედროვე სისტემები, დაიგო ხის იატაკი, მოეწყო გასახდლები და საშხაპეები, მეორე სართულზე გაკეთდა მყურებელთათვის განკუთვნილი აივნები. სპორტული დარბაზი კალათბურთის, ხელბურთის, მინი-ფეხბურთისა და ტანვარჯიშისთვის არის გათვალისწინებული. ამ ეტაპზე ეზოს კეთილმოწყობა მიმდინარეობს და კომპლექსის ინვენტარიზა-




ციაზე გამოცხადებულია ტენდერი. სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან 482 000 ლარი გამოიყო და ობიექტზე 30 ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო დასაქმებული.

– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

– კვლავაც აქტუალური იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, გზების რეაბილიტაცია, ბუნებრივი აირისა და სასმელი წყლის ქსელით ადგილობრივ მაცხოვრებელთა უზრუნველყოფა. გარდა ამისა, მიმანია, რომ მოსახლეობის დაცვა, მათ ჯანმრთელობასა და საარსებო პირობებზე ზრუნვა, ისევე, როგორც უმუშევრობის ზოგადი პრობლემის გადაჭრა ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა და არსებული სიტუაციის გამოსწორება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიმანია. ამიტომ, იმედი მაქვს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობით ყველა პრობლემა მოგვარდება, გამოსავალი მოიძებნება და პროექტებს ბოლომდე მივიყვანთ.






GM

www.gmhotel.ge

hotel



საქართველო, თბილისი,
მეტეხის №19
ტელ. +995 232-30-30

19 Metekhi str.
Tbilisi, Georgia
tel. +995 232-30-30

პროფესიონალი+



GM hotel





სოფლის განვითარებულ ქვეყნებში, ძირეული პრობლემების მოწესრიგებისთვის, ეკონომიკური კავშირების, მექანიზმების ძიება და მათი სრულყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც შესაძლებელს გახდის გამოვლენილ იქნას სახელმწიფოს სრული პოტენციალი. რაც შეეხება საქართველოს, სამწუხაროდ, მისი თანმიმდევრული განვითარების პრობლემა, უპირველესად ტერიტორიულ ერთეულთა ინფრასტრუქტურულ არასტაბილურობასთან იყო დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ტურიზმი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. ქობულეთი კი ის ადგილია, რომელიც საქართველოში ტურისტების მოზიდვის კუთხით, მუდამ ერთ-ერთი მოწინავე იყო. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ აჭარის



ქალთან მებრძოლი ალაიანი ვარ

ეს ულამაზესი ქალაქი გაცილებით ბევრ ტურისტს მიიზიდავდა და მეტ შემოსავალს მოუტანდა, როგორც ქვეყანას, ისე ადგილობრივ მოსახლეობას, რომ არა

წლების მანძილზე არსებული ხელისშემშლელი ფაქტორები - სახელმწიფოს მხრიდან არასწორად განხორციელებული პიარი და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა. დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს გაცილებით ეფექტურად გამოიყენოს ამ მუნიციპალიტეტის ბუნებრივი გარემო - ლამაზი ბუნება, ჯანსაღი კლიმატი და შავი ზღვის სანაპირო, რაც საუცხოო პირობაა საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **სულხან** **ჯგერნიძეს** მიაჩნია, რომ ქობულეთის ბუნებრივი თვითმყოფადობა, სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, უახლოეს ხანში, რაიონის კეთილდღეობის საწინდარი გახდება.

– ბატონო სულხან, ქობულეთი წლების განმავლობაში მოკლებული იყო სტაბილურ ინფრასტრუქტურულ განვითარებას...

– დაგეთანხმებით და აღვნიშნავ, რომ საბედნიეროდ, უკანასკნელი წლების განმავლობაში, სიტუაცია უკეთესობისკენ რეალურად და თვალსაჩინოდ არის შეცვლილი და

მხოლოდ 2015 წელს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით 21 მილიონი ლარი დაიხარჯება. მიმდინარე წელს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებად ქალაქის ქუჩებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყალ-კანალიზაციის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და საბავშვო ბაღების მშენებლობა განისაზღვრა. მინდა ცალკე გამოვყო შიდა საქალაქო ქუჩების სარეაბილიტაციო პროექტი, რომლის განხორციელებისთვისაც ჯამში 9 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

– უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ...

– შარშან მუნიციპალიტეტის იერსახის მოსაწესრიგებლად 15 მილიონი ლარი დაიხარჯა. ქალაქის ქუჩების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის მიზნით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საავადმყოფოს უბანს და ახალი საკანალიზაციო სისტემა მოეწყო კომპლექსის ქუჩაზე, ხოლო საგზაო დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი იქნა 18 კილომეტრიანი ასფალტის საფარი. მიმდინარე წელს, შიდა გზების მოწესრიგების კუთხით, სოფელ ნაკაძიძეში და ქაქუთი-ნაცხავატევის მონაკვეთზე დასრულდა გზის მოასფალტება. ამ ეტაპისთვის ჭაბათი-ცხემვანას ცენტრალურ გზაზე მიმდინარეობს ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა. აღნიშნულ მონაკვეთზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება კინტრიშის ხეობაში ტურიზმის განვითარების საწინდარია. ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე, გრძელდება ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში იგება დეკორატიული ფილები, ეწყობა ბორდიურები და სანიღვრე კოლექტორები, შენდება მწ-



ვანე ზოლი, კეთდება შეჭრები ავტობუსის გაჩერებისა და სანაგვე ყუთების განთავსებისთვის. პარალელურად მიმდინარეობს ასფალტის საფარის ორმული შეკეთება. გარდა ამისა, დასასრულს მიუახლოვდა საკანალიზაციო და სანიაღვრე



სისტემის მოწყობითი სამუშაოები ჭავჭავაძის უბანში, რომლის შემდეგ დაგეგმილია ჭავჭავაძის, ლესელიძის, ნინოშვილის და გურამიშვილის ქუჩების კეთილმოწყობა. მინდა გამოვყო მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით ჯავახიშვილის უბანში წყლისა და კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რასაც მალე მთლიანი უბნის რეაბილიტაცია მოჰყვება. ცალკე აღნიშვნის ღირსია გელაურში ჩატარებული საკანალიზაციო სისტემის კეთილმოწყობითი სამუშაოები, ვინაიდან დასახლებაში კანალიზაციის არარსებობა მოსახლეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა, რომელიც ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებით მწვავედობდა. მიმდინარე პროექტი საკანალიზაციო სისტემის ცენტრალური მაგისტრალისა და შიდა ქსელის მოწყობას ითვალისწინებს და მისი დასრულება სამ თვეში იგეგმება.

– სამწუხაროდ, კანალიზაციის და სასმელი წყლის პრობლემა ქობულეთში მუდამ აქტუალური იყო...

– სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებით, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა. სოფელ ზუცუბანში მიმდინარეობს წყალსადენი სისტემის მოსაწესრიგებელი სამუშაოები. ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა სათავე ნაგებობები, ცენტრალური მაგისტრალი და პარალელურად მოხდება არსებული რეზერვუარების რეაბილიტაცია. პროექტი საბოლოოდ ოქტომბრის თვეში დასრულდება და ამის შემდეგ შიდა დაქსელებით სამუშაოებს დაიწყებთ. მსგავსი პროექტები განხორციელდება სოფელ კვირიკეში, სოფელ ქობულეთში, ზედა და ქვედა სამებაში. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, რომ ქალაქ ქობულეთში, წლების მანძილზე, ზაფხულობით მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდებოდა, დებეტის ნაკლებობის გამო ხდებოდა წნევის ვარდნა, რაც უარყოფითად აისახებოდა ტურისტული სეზონის მიმდინარეობაზე და არსებული პრობლემა დისკომფორტს უქმნიდა, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ასევე დამსვენებლებს. ამ სიტუაციის აღმოსაფხვრელად ქობულეთის მუნიციპალიტეტში ცენტრალური წყლის სისტემის სათავე ნაგებობაზე ორი ახალი ჭაბურღილის დამონტაჟება მიმდინარეობს. ამის შედეგად მოხდება არსებული რეზერვუარების მაქსიმალური ათვისება და გაიზრდება წყალსაქანის წარმადობა, რაც სავსებით საკმარისი იქნება პრობლემის მოსაგვარებლად. ეს გარემოება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურისტული სეზონის დროს წყლის დებეტის გაზრდას და შესაძლებელი იქნება 6 ათასამდე აბონენტის 24 საათიანი სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება.

– საკურორტო სეზონის მოახლოებას რა სიახლეებით ხვდებით?



– ქობულეთში ტურისტული სეზონისთვის მზადება აქტიურ ფაზაში შევიდა, მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები - ზღვის სანაპირო ზოლზე იცვლება დაზიანებული ფილები, ბორდიურები, სანაპიროზე და სკვერებში იგეგმება ახალი სკამებისა და სანაგვე კონტეინერების დადგმა, აღდგება სტიქიის შედეგად დაზარებული ჯებირები, რისთვისაც დამატებით 10 ათასი ლარი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ბატონმა არჩილ ხაბაძემ გამოგვიყო. მაქსიმალურად აიკრძალება გარე ვაჭრობები, ტროტუარებსა და შენობებთან მისასვლელ გზაზე დაგეგმილია პანდუსების მოწყობა, რომლებიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გადაადგილებას. სეზონის განმავლობაში ჩვენი ორგანიზებით პერიოდულად მოეწყობა გამწვანებისა და დასუფთავების აქციები.

– რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს...

– სამომავლოდ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, რაც დიდ ზეგავლენას იქონიებს მუნიციპალიტეტის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე. მაქსიმალურად ვეცდებით ხელი შევეწყოთ ქობულეთის, როგორც დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე ქალაქის განვითარებას და ინვესტორების მოსაზიდად შევქმნით ხელსაყრელ გარემოს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოციალური პროექტების დაგეგვა-განხორციელებას. ჩემს უმთავრეს სამომავლო პერსპექტივად იპოთეკით დაზარალებულთა მდგომარეობის გაუმჯობესებას განვიხილავ. მათი გაუსაძლისი მდგომარეობა ჩემი დიდი ტკივილია. უბედნიერეს ადამიანად ჩავთვლი თაგს, თუ ამ პრობლემის მოსაგვარებლად იოტისოდენა წვლილს მაინც შევიტან. უყურადღებოდ არ დავგრჩება არცერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ძალიან მეზრძოლი ადამიანი ვარ, ამიტომ მჯერა, რომ შეუპოვარი და თავდადებული შრომით მოსახლეობას მოკლე ხანში შევუმსუბუქებთ საჭირო ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობას და მათ ნდობას სრულად გავამართლებთ.





შპს „LEGI“, რომელმაც საქართველოში თავისი საქმიანობა 2012 წლის მარტში დაიწყო, უახლესი ტექნოლოგიებით ამზადებს ოცდაათამდე სახის ბეტონის ნაკეთობას.



კვალიფიციური პერსონალი, უნიკალური დანადგარები და მაღალი ხარისხის სტანდარტები არის ჩვენი კომპანიის წარმატების საფუძველი.



დაცულია საერთაშორისო სტანდარტები. ჯერ კიდევ, რამდენიმე ათეული წლის წინ, საქართველოში გამოყენებული ბეტონის ფილები და ბორდიურები იწარმოებოდა ჩვეულებრივი ტექნოლოგიის გამოყენებით - ყალიბში ჩამოსხმით, რაც ვერ უზრუნველყოფდა მაღალ ხარისხს - სათანადო სიმტკიცეს და არ პასუხობდა ესთეტიკურ მოთხოვნებს.



ბეტონის პროდუქცია არ გამოირჩეოდა საექსპლუატაციო ვადის ხანგრძლივობითა და ატმოსფერული ზემოქმედების მიმართ მედეგობით, რაც გამოიხატებოდა ზედაპირის ცვეთითა და დაზიანებით.



ერთფეროვნებისა და არჩევანის სიმცირის გამო, ბეტონის საფარი მონოტონურად და არაესთეტიურად გამოიყურებოდა.

ვითარება საგრძნობლად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ექსპლუატაციაში შევიდა „LEGI“-ს საწარმო, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. გამოიყენება სრულყოფილი ტექნოლოგიები, რაც საშუალებას იძლევა დამზადდეს ბეტონის ნაკეთობები ვიბრო-წნევის მეთოდით წარმოების ნახევრად ავტომატურ რეჟიმში.

დაიწყო ქვაფენილისა და ბორდიურების წარმოება. მათი ასორტიმენტი გამოირჩევა ფორმის, ფერის, ფაქტურისა და პარამეტრების მრავალფეროვნებით. ასევე გამოიყენება ატმოსფერული ზემოქმედებისაღმი მედევი პიგმენტები და დანამატები.

„LEGI“-ს პროდუქციის სერთიფიცირებას და გამოცდას აწარმოებენ დამოუკიდებელი ლაბორატორიები.



საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა,
ქობულეთი. სოფალი ხუცუბანი.
მობ: + 995 592 200 919
www.facebook.com/legikobuleti
Email: info@legi.ge www.legi.ge

შპს „ლადა“



შპს „ლადა“, რომელსაც ბაბონი
გვლარ დიდგინიძე

ხელმძღვანელობს, 2012 წელს
დაარსდა.

კომპანია აქტიურად
თანაგროვობს, როგორც
სახელმწიფო, ისე პირად
ფირმებთან და
ფართომასშტაბიან სამშენებლო
საქმიანობას აწარმოებს.



ამ ეტაპზე, შპს „ლადა“, 7 მსხვილი ობიექტის, მათ
შორის, სკოლებსა და საავადმყოფოებისა და საბავშვო ბაღის
რეაბილიტაციას ახორციელებს და მიმდინარე
სამუშაოებზე 35 ადამიანი დასაქმებული.



შპს „მეგაბეტონი“

სამშენებლო კომპანია „მეგაბეტონი“ 2011 წელს, გამოცდილი მშენებლების მიერ დაარსდა და დღეისათვის სწრაფად განვითარებადი, მრავალპროფილიანი ბრენდია.

მის: ბაქოს ქ №10 ბელ.: 557 200-060

შპს „მეგაბეტონი“ ბატონი **გიგლა ჯიბლაძე** ხელმძღვანელობს და კომპანიის ძირითად საქმიანობას საპროექტო, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესრულება წარმოადგენს.

საცხოვრებელი თუ კომერციული ობიექტების მშენებლობის პროცესში კომპანია ხარისხიან, თანამედროვე მასალებსა და ახალ ტექნოლოგიებს იყენებს. ევროპული სტანდარტების შესაბამისობა, დახვეწილი გემოვნება და თანამედროვე სტილი კომპანიის საქმიანობის ძირითადი მახასიათებელია, ხოლო, ხარისხი და ნდობა – წარმატების მთავარი საწინდარია. კომპანიის დიდი პასუხისმგებლობა შესაძლებლობას იძლევა ყოველთვის იყოს დაცული მშენებლობის ვადები და შესრულების მაღალი ხარისხი.

შპს „მეგაბეტონი“ 30 ადამიანია დასაქმებული და მათი პროფესიონალიზმის შედეგია ის, რომ პროექტების ჩაბარება დროულად, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში ხდება. კომპანია მუდმივად ლეზულობს მონაწილეობას ტენდერებში და შეკვეთას ყოველთვის პირნათლად ასრულებს. მსგავსი ტიპის დიდი მოცულობის სამუშაოები ნაძალადევში უკვე განხორციელდა, ხოლო ამ ეტაპზე თბილისში - ისნის, სამგორის, ჩუღურეთის გამგეობებში წარმოებს და რაიონის ადგილობრივი ხელმძღვანელობის ღირსეული თანადგომის, დიდი მხარდაჭერის შედეგად, უახლოეს დროში წარმატებით დასრულდება.

კომპანიას რამოდენიმე კერძო პროექტი აქვს განხორციელებული, მათ შორის - შვიდი საცხოვრებელი კორპუსი, უცხოელი ინვესტორების დაკვეთით განხორციელებული მშენებლობები, საყრდენი კედლები გამაგრებითი სამუშაოები... გარდა ამისა, შეკვეთით ახორციელებს ფინური სახლებისა და ორსართულიანი კოტეჯების მშენებლობას.

შპს „მეგაბეტონი“ ძირითად სამუშაოებს არმატურის და ბეტონის საშუალებით ახორციელებს, რომელთა მაღალ ხარისხსაც დიდი მდებარე საკუთარი ბეტონის ქარხანა განაპირობებს. გამოცდილი საქმეთა მწარმოებლების განკარგულებაში ორი მიქსერი და ორი სატვირთო ავტომობილია. კომპანიის კუთვნილებაშია, ასევე, რამდენიმე ერთეული ევროპული ტექნიკა, ბოზ-კატი და მიკროავტობუსი.



EUROPEAN YOUTH
OLYMPIC FESTIVAL
TBILISI 2015

მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპორტული მოვლათა, 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისში, 26 ივლისიდან 2 აგვისტომდე გაიმართება და ამ დროის განმავლობაში საქართველოს დადაქალაქს 50 ქვეყნის 3800 მოწვეულა ესტუმრება.

ოლიმპიური თამაშების სიბოლო - ცეცხლი საუბიომოდ 26 მაისს საბარკანეთის უკვალუს ქალაქ ათენში ანთდა და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩირაღდანი ქართულ ჯულბარასთან დაავაზიერებული ელამებებით - ჰაზის ფოთლებით და ყურძნის მარცვლებით გააფორმეს.

საბარკანეთიდან ოლიმპიური ცეცხლი ჰირვალად ბათუმში 26 მაისს შემოვიდა. 28 მაისიდან ჯი, საქართველოს რეგიონებისა და აილო გავი.

ოლიმპიური ცეცხლი 14 ივლისამდე საქართველოს 67 მუნიციპალიტეტის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს მოივლის. 14 ივლისს ჯი დადაქალაქში შემოვა. ესტუმრები 700 მეჩირაღდნა მოწვეულაოხს.

26 ივლისს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გახსნის ცერემონია დაიწყო ჯაულდროვში ანთება და ფესტივალის დასრულება და იგიზიზიებას.



პირველი სართული



მ. თბილისი, თარხნიშვილის ქაიხაძე 2
5-ბ საპროექტო-სამშენობლო სახელი
საპროექტო საპროექტო მინი ბაკაძე (090-999-2300)
ფართობი: 10 000 კვ.მ. აპროექტი-2000 კვ.მ.
მშენებლობის პერიოდი: (2013-2014) მინი ბაკაძე - 090

გამომგებელი:
ბათუმი, შ. სიმონაშვილის ქ. №1
+995 557 100 100
Mob: **+995 557 500 500**
გაყიდვების ოფისი:
თბილისი, თარხნიშვილის ქ. №21
Mob: **+995 599 525 525**
+995 599 522 522
welcome@gumbatigroup.ge
www.gumbatigroup.ge



მშენებლობა და განვითარება



სუბტროპიკსიტი

მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი



მშენებლობა და განვითარება

WWW.SUBTROPICITY.GE



1 SHERIF KHMISHVILI STREET, BATUMI
MOB: + 995 557 500 500 + 995 557 100 100
Info@subtropiccity.ge



კანკონის დათბუნების სისტემა

თბილი.დამაჯი.
ვეღევი.

